ცნობის ფურცელი

№ -096 პარასკევი, 14 მარტი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2093

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში განჯის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

შორაპნის მაზრის მარშალი თავ. **სვიმონ დავითის ძე წერეთელი** და **ივანე (კიტა) გიორგის ძე აბაშიძე** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ქ. პეტერბურგში ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ბიძაშვილი, ქართველი პოეტი,

თავ. გრიგოლ დავითის ძე აბაშიძე

და სთხოვენ მათ მობრძანდნენ კვირას, 16 მარტს ქ. ქუთაისის საკათედრო ეკკლესიაში, სადაც **იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო ლეონიდის** მიერ გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი მიცვალებულის სულის მოსახსენებლად. ამავე დღეს გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი მიცვალებულის საგვარეულო მონასტერში ს. კაცხში. მიცვალებულის გვამი დროებით დაკრძალულ იქმნება ქ. პეტერბურგში. (რ. 3—2)

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

ბ. ი. პალლიზენ

რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 879. (0—70)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ზუბალაშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დ ღ ი თ:

მ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მუღინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ბ. ზ. ბაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

მ. ა. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ქამოიძე.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათ 11½—12½.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

დრ. მ. სოგოლოვსკი—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ბ. ზ. ბაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუდმივი ექიმი **მ. დ. ნასარიძე.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამ მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (აჯვალის ქუჩის დასაწყისში). ტელეფონი № 274 (წ.

კვირას, 16 მარტს 1903 წელს „ტფილისის სობრანიეში" გაიმართება ფაზიბეგის ქალთა სკოლის სასარგებლოდ

ქართულ-რუსული წარმოდგენა კონცერტით, თეატრის მოყვარულთა მონაწილეობით.

I

რუსულად

ЖУЖУ

ერთ მოქმედ. კომედია ვოლკოვსკისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ე. ა. ხატისოვისა, ანენსკისა, გალინა; ბ-ნნი: ა. დ. მალინი, მამინი და ჩიმიშკიანი.

II

საკონცერტო განყოფილება

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ციტოვცევი, თ. ი. ბარათაშვილი და ბ-ნი სემიგალოვი.

III

ქართულად

თაიგული

ვოდევილი პოტაპენკოსი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: მ. ისაკოვისა, ნ. ნაკაშიძისა, ს. რომანიშვილი, ს. ციციშვილი; ბ-ნნი: იოს. ქუთათელაძე და ალ. ყანჩელი.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. (2—1)

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—3-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

ე ქ ი მ ი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 612

საზღვარ-გარედ

ბალკანეთი. ავსტრიისა და გერმანიის გაზეთები, ერთი ნაწილი რუსულ გაზეთებისაც ირწმუნებიან, რომ ბალკანეთის საქმეები წესზე და რიგზე მიდის, მაკედონიაში რეფორმები შემოღებულ იქმნება და ხალხიც დაწყნარებული არისო. მაგრამ სულ სხვა ცნობებია ბოლგარულ და ფრანგულ პრესაში. განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ საფრანგეთის ოფიციალური გაზეთები, ე. ი. ისეთი გაზეთები, რომელნიც ახლო დგანან გარეშე საქმეთა სამინისტროსთან, მეტად პესიმისტიურად უყურებენ მაკედონიის საქმეთა ეხლანდელ მდგომარეობას. საფრანგეთის ინტერესი არ მოითხოვს ბალკანეთის საქმეთა არევ-დარევას, ამიტომ ფრანგულ პრესას არ დაეწამება, რომ იგი განზრახ აზვიადებს საქმეს, და თუ პესიმისტიურად უყურებს ეხლანდელ მდგომარეობას და კატასტროფის დადგომას წინასწარმეტყველებს, ალბათ, საბუთიცა აქვს. გაზეთ „ტან"-ის სიტყვით, აჯანყება მოდებულია მთელ მონასტირის ვილაეტში: აქ განუწყვეტელი სისხლის ღვრაა, რევოლიუციონერებს უერთდებიან ათასობით გლეხები, რადგან დასაკარგავი არაფერი დარჩენიათ, და მთელი სოფლები გადამწვარი და განადგურებულია. „ფანატიკოს ოსმალელთა სიმხეცეს ვრცელი ასპარეზი აქვს მიჩენილი—არ ზოგვენ არც ქალს, არც ბავშვს და არც მოხუცს; და სწორედ ეს საზიზღარი სიმხეცეა, რომ შესძინა ოსმალეთის სულთანს ღრმად აღშფოთებული შეურიგებელი მტრები... მაკედონიაში დადგა ახალი ხანა საქმეთა მიმდინარეობისა: ეს ახალი ხანა დაიწყო აჯანყებით, ამას მოჰყვება აჯანყების „დამშვიდება", თავგანწირული ბრძოლა, განმეორება იმ საშინელ ამბებისა, რომელიც მოხდა ბოლგარიაში 76-წელს და სომხეთში 95—6 წ.წ; დასკვნა კი ის იქნება, რომ მთელი განათლებული ქვეყნიერობა აღშფოთდება და მაშინ რეფორმის შემოღება გვიანდა იქნება". აჯანყება, ოსმალური „დამშვიდება" ამ აჯანყებისა, თავგანწირული ბრძოლა და განმეორება ბოლგარიისა და სომხეთის საშინელ ამბებისა ერთობ ძვირად დაუჯდება მრავალ-ტანჯულ მაკედონიას, მაგრამ, ბორის სარაფოვის თქმისა არ იყოს, სახელმწიფოების ნოტებითა და ოსმალეთის მთავრობის დაპირებით საქმე არასოდეს არ გაკეთებულა. ეს კარგად ესმით რევოლიუციონერებს და გადაწყვეტილი ჰქონიათ იარაღი არ დაჰყარონ, სანამ ევროპიელი ჯარები არ შევლენ მაკედონიაში და ბოლოს არ მოუღებენ ოსმალეთის ბატონობას.

✦ როგორც ვიცით, ბორის სარაფოვი ეხლა მაკედონიაშია და რამდენიმე შეტაკება უკვე ჰქონია ოსმალებთან. ერთი ასეთი შეტაკება მომხდარა ს. ვლადიმიროვოსთან და ოსმალეული რაზმი დამარცხებულა. ბოლგარიაში ეს ამბავი დიდის აღტაცებით მიუღიათ; ყველას თურმე ბორის სარაფოვი აკერია ენაზე. სარაფოვის რაზმიდან რამდენიმე დაჭრილი მოსულა სოფიაში და აქ საავადმყოფოში მიუღიათ. ამ დაჭრილების სიტყვით, ოსმალებს მოუკლეს 40 კაცი, ბოლგარებს კი 3 მოუკლეს და 10 დაუჭრეს. დიდი ვაჟკაცობა თურმე გამოიჩინა სარაფოვმა ბრძოლის დროს: იგი მუდამ წინ უძღოდა ჯარს, მღეროდა ბოლგარულ სახალხო ლექსებს და თან თოფს ესროდა მტერს; ხან ჯარის ერთ მხარეზე იყო, ხან მეორეზე გადადიოდა და ყველას ამხნევებდა. როცა ოსმალები ახლო მოსულან, სარაფოვის ბრძანებით მის მეგობარ პანტევს (სტუდენტი ვენის სავაჭრო აკადემიისა) გადაუსროლია მტრისაკენ რამდენიმე ყუმბარა; ყუმბარების აფეთქებას დიდი არეულობა გამოუწვევია ოსმალებ შორის და ბოლოს გაქცეულან კიდეც. სარაფოვს დიდ-ძალი საომარი მასალა აქვს თურმე დამზადებული. მის რაზმში ბევრი სოფლის მასწავლებელია; ერთი მათგანი ბარაკოვი უკანასკნელ შეტაკების დროს მოუკლავთ.

ბერლინი. გერმანიის სატახტო ქალაქის წლიური ხარჯთ-აღრიცხვა ვიურტემბერგის სამეფოსას უდრის თავის სიდიდით. მარტო პროგრესიული გადასახადი შემოსავალზე იძლევა 33.500.000 მარკას. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ვისაც 900 მარკაზე მეტი შემოსავალი არა აქვს, იგი არ იხდის ამ გადასახადს. მდიდრები, რასაკვირველია,

---

ფელეტონი

წერილები ლონდონიდან

VIII

მინისტრები და საფინანსო კამპანიები.—დამოუკიდებელი მოსამართლენი—მდიდარ საფინანსო კამპანიის გაკოტრება.—მუშათა პარტიის გამარჯვება არჩევანში.

ამ უკანასკნელ ათ დღეს დიდი გაჭირვება გამოიარა ბალფურ-ჩემბერლენის სამინისტრომ. ჩამბერლენი იძულებული იყო ნაღვლიანად ეღიარებინა: ჩემი მოგზაურობა სამხრეთ-აფრიკაში სულაც არ გათავდა ისეთის გამარჯვებით, როგორისაც იმედი მქონდაო. ამავე დროს სამინისტროს ლონდონშიაც მეხი მეხზე დაატყდა თავსა.

პირველი მეხი სასამართლომ დასცა. საზოგადოებრივ აზრისა და გლადსტონ-ჰარკორტ როზბერის ლიბერალურ სამინისტროს ჩვეულების წინააღმდეგ, ეხლანდელ სამინისტროს ერთმა წევრმა ჰაის-ფიშერმა ერთ სააქციონერო საფინანსო კამპანიის გამგეობის თავმჯდომარეობა იკისრა. კამპანიას თავისი საქმე სულაც არ მიჰყავდა თურმე რიგზე და დაწესებულ სატაქსო გადასახადებსაც არ იხდიდა. სატაქსო გადასახადების აგენტმა უწყება გაუგზავნა გამგეობის დირექტორებს, მაგრამ ამ ვაჟბატონებმა და ამათ შორის სამინისტროს წევრმაც ყური არ გაიბერტყეს, ესე იგი არამც თუ ფული არ გადაიხადეს, პასუხიც არ ღირსეს: ჩვენისთანა დიდებული პირები როგორ გაჰბედე და შეაწუხეო!

მაგრამ დიდებულ პირებს დაავიწყდათ, რომ ინგლისში ყოველი კაცი თავის მოქმედებისათვის პირდაპირ სასამართლოს წინ აგებს პასუხს. სამინისტროს თავმჯდომარე (პირველი მინისტრი) იყოს, მთავარ-სარდალი, თუ სამეფო გვარეულობის წევრი, ერთის სიტყვით, ვინც უნდა იყვეს—ყოველი კაცი მოვალეა სასამართლოს წინ აგოს პასუხი. მინისტრი ჰაის-ფიშერიც სასამართლოში დაიბარეს პასუხის საგებლად. მინისტრი იმით მართლულობდა თავსა, რომ საფინანსო კომპანიების შესახებ კანონები არ ვიცოდიო.—„თქვენ კამპანიის დირექტორი ხართ; ამავე დროს მინისტრის თანამდებობაც გიჭირავთ. მონდობილ აქციონერებს მით უფრო მტკიცე იმედი ჰქონდათ, რომ საქმეს კარგად წაიყვანდით; თქვენი სახელის გულისათვის ხალხს ფული შემოჰქონდა თქვენს საზოგადოებაში; ამიტომ პატიოსნება მოვალედ გხდიდათ კარგად შეგესწავლათ ის საქმე, რა საქმეც იკისრეთ და რა საქმისათვისაც ჯამაგირს იღებთ. სასამართლო ვერ გაგამართლებთ კანონების უცოდინარობის საბუთით". ასეთი შენიშვნა და დარიგება მისცა უმაღლესმა სასამართლომ სამინისტროს წევრსა და თანაც საჯაროდ მისცა ეს შენიშვნა. სასამართლოს სიტყვები ყველა გაზეთებმა დაბეჭდეს.

იმავე საღამოს ოპოზიციამაც პარლამენტში ჩამოაგდო ამ საქმეზე ლაპარაკი და მოითხოვა: მინისტრებს, სტატს-სეკრეტრებს და სხვა უმაღლეს სახელმწიფო პირებს უფლება არა ჰქონდეთ სავაჭრო და საფინანსო კომპანიების დირექტორობა იკისრონო. ლიბერალი მინისტრები სასტიკად ასრულებდნენ ამ წესსა: ერთი იმათგანი—მუნდელლა—გლადსტონის ბეჯითის მოთხოვნილებით, იძულებული იყო მინისტრის პორტფელზე ხელი აეღო. მაგრამ ცინიკმა სალისბიურიმ, იმისმა შვილებმა, სიძემ და დისწულმა—ეხლანდელ სამინისტროს წევრებმა—უკაცრაული პასუხია, მიაფურთხეს პოლიტიკურ წმინდა სახელსა და პატიოსნებას და აღარაფერს აღარ დაგიდევენ: არც თითონ ამბობენ უარს დირექტორობაზე და არც თავიანთ თანა-მოსამსახურეებს უშლიან დიდ ჯამაგირიან თანამდებობის მიღებას... ესე იგი, უბრალოდ რომ ვსთქვათ, საჯაროდ, მოურიდებლივ დაიწყეს ქრთამის აღება.—კამათის დროს ბალფურმა უსირცხვილოდ სთქვა: „დიდ სახელად ჩავსთვლიდი, საფინანსო საზოგადოებამ რომ დირექტორად მიმიწვიოს."—ეს უბრალო ყბედობა და ტრაბახობაა. ყველამ კარგად იციან, რომ თითონ ბალფური წმინდა და პატიოსანი კაცია და ეს თავხედური სიტყვები მარტო თავის ხელ-ქვეითის საშველად სთქვა.

არა მგონია, რომ ბალფურმა, გინდ თითონ მოხუცებულმა ცინიკმა სალისბიურიმ სასახელოდ მიიჩნიონ დირექტორობა ისეთის საფინანსო საზოგადოებისა, როგორიც იყო საზოგადოება „გლობ"-ი. „გლობ"-ი უდიდესი არისტოკრატიული საფინანსო საზოგადოება იყო და ამას წინად თავის დირექტორის ვატაკერ-რაიტის უსინიდისობისა და გაიძვერობის წყალობით გაკოტრდა. ეს საქმე ნამდვილი ეპოპეაა საფინანსო ყაჩაღობისა. ამ

ჩვეულებრივ ბევრსა ჩივიან—ღარიბებიც ხომ სარგებლობენ ქალაქის კულტურულ დაწესებულებებით და იმათაც უნდა ახდევინებდეთო, მაგრამ ბერლინის საბჭოში ხალხის ნამდვილი გულშემატკივარი ხმოსნებია და შიში არ არის, რომ მდიდრების უსამართლო საჩივარმა გასჭრას.

მომავალ წლის მთელი გასავალი უდრის 117.500,000 მარკას. ყველაზე მეტს ქალაქი ხარჯავს სახალხო განათლებაზე. სულ სკოლებისათვის გადადებულია 23 მილიონი; აქედან $15^{3}/_{4}$ მილიონი სახალხო სკოლებისათვის, $1^{1}/_{2}$ მილიონი საპროფესიო დამატებით სკოლებისათვის, $2^{1}/_{2}$ მილიონი რეალურ გიმნაზიებისათვის, $1^{3}/_{4}$ კლასიკურ გიმნაზიებისათვის და 750 ათასი მარკა ქალების საშუალო სკოლებისათვის.

მიუხედავად ამდენის ხარჯისა და სასკოლო საქმის მშვენივრად მოწყობისა, ბერლინის ხმოსნები კიდევ არ არიან კმაყოფილნი და სცდილობენ ბევრად მაღლა დააყენონ სახალხო განათლება.

მიზეზი ბერლინის ასეთ დაწინაურებისა ორია: ერთი ის, რომ ხმოსნებს მთელი მცხოვრებლები ირჩევენ და არა მარტო შეძლებულები და მეორეც ის, რომ იქ არსებობს პროგრესიული გადასახადი შემოსავალზე.

ინგლისი. ჩემბერლენი დაბრუნდა სამხრეთ-აფრიკიდან და მომხრეები დიდის ზარითა და ზეიმით დახვდნენ. საინტერესოა შემდეგი გარემოება: ახლად არჩეული დეპუტატი კრუქსი სწორედ იმ დღეს შევიდა პარლამენტში, როცა ჩემბერლენი, დაბრუნების შემდეგ, პირველად დაესწრო პარლამენტის სხდომას. „როცა ახალშენების მინისტრი შემოვიდა სხდომების დარბაზში, მთავრობის მომხრეებმა დიდი ტაშის ცემა ასტეხეს. ცოტა ხნის შემდეგ ჩემბერლენს რაღაც შეკითხვაზე პასუხის გაცემა დასჭირდა და როცა წამოდგა, ხელ-მეორედ გაუმართეს ოვაცია. როცა მინისტრმა გაათავა თავისი პასუხი, პალატის თავმჯდომარემ განკარგულება მოახდინა, რომ შემოეყვანათ ახალი დეპუტატი კრუქსი. შემოვიდა თუ არა დარბაზში კრუქსი მეორე დეპუტატ ვონ ბერნსის თანხლებით, ოპოზიციამ დიდი ოვაცია გაუმართა; ოვაცია განმეორდა, როცა სპიკერმა ჩვეულებისამებრ ხელი ჩამოართვა ახალ დეპუტატს. სამინისტრო პარტიას კრინტი არ დაუძრავს ამ მანიფესტაციის დროს.“

ახალი ამბავი

◆ დღეს შესრულდა 30 წელიწადი მას შემდეგ, რაც დამტკიცდა წესდება კავკასიის იურიდიულის საზოგადოებისა; სწორედ ამ დროსვე (1873 წ. 14 მარტს) დამტკიცდა წესდება კავკასიის არხეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებისა.

◆ ქიათურიდან გვწერენ: „12 მარტს ქიათურის ქართველმა საზოგადოებამ მღვიმევის მონასტერში გადაიხადა პანაშვიდი გადაცვალებულის პოეტის გრიგოლ აბაშიძის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დიდძალი ხალხი დაესწრო“.

◆ ბათუმის ქალაქის მოურავისა, გამგეობის ერთის წევრისა და საბჭოს მდივნის არჩევნები დანიშნულია 24 მარტისათვის.

◆ გამოქვეყნებულ იქმნა ბრძანება იმ დაწესებულებათა შტატების გადიდების შესახებ ამიერ-კავკასიაში, რომელნიც სამხედრო ბეგრის საქმეებს განაგებენ. ტფილისის საქალაქო და სამაზრო სამხედრო საკრებულოებში წესდება საქმის მწარმოებლის ახალი თანამდებობანი. თითო მწარმოებელს ჯამაგირად დაენიშნება 1000 მანეთი.

◆ ტფილისის გუბერნიის სასტატისტიკო კომიტეტმა მოსთხოვა მაზრის უფროსებს, 15 აპრილამდე წარადგინონ ცნობები იმის შესახებ, თუ რა პირი უჩანს მომავალ მოსავალს. უნდა აცნობონ აგრეთვე მცენარეულობისთვის მავნე მწერთა გაჩენის შესახებ.

◆ ხვალ, 15 მარტს, კრება ექმნება კავკასიის სამკურნალო საზოგადოებას. სხვათა შორის, კრება მოისმენს მ. გედევანიშვილის მოხსენებას ახლად გადაცვალებულ ექიმ პავლოვსკის შესახებ.

◆ გამოქვეყნებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება სამოსამართლო დაწესებულებათა შტატების გადიდების შესახებ შავის-ზღვის პირისა და ჩრდილოეთ კავკასიის სამ გუბერნიაში. ამ საქმისათვის გადაუდვიათ 94,650 მანეთი.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს, როგორც „ნოვ. ობ.“-ი გადმოგვცემს, საყურადღებო ბრძანება მოუხდენია. რკინის გზაზე მოიჯარადრენი ხშირად დროზე არ აძლევენ ფულს მუშებს და ამ უკანასკნელთ დიდ გაჭირვებაში აგდებენ. ამიერიდან, გზის უფროსის ბრძანებით, იჯარასა და საქმეს აღარ მიანდობენ იმ იჯარადრებს, რომელნიც შეუმჩნევიათ, რომ დროზე არ უსწორდებიან მუშებს.

◆ „კავკ.“-ს ატყობინებენ: ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგი კრივანოვსკი დაინიშნა ტფ. სამოსამართლო პალატის წევრად. ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი კანტროლერი ლობირევი გადაიყვანეს ეკატერინინის გზაზე, ხოლო იმის ადგილას გადმოიყვანეს ამ გზის უფროსი კონტროლერი ვანჩაკოვი.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობას აზრადა აქვს ტფილისის ერთ-ერთ ქუჩას რადდეს სახელი უწოდოს.

◆ გუშინ-წინ, 12 მარტს, ქუთაისიდან ტფილისში ჩამოვიდა სამსახურის საქმისა გამო ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი ბ-ნი სმაგინი.

◆ ეგრედ წოდებულ „მამუკას სოფლის“ მცხოვრებნი მეტად შეწუხებულნი არიან თურმე აუარებელ საქონლისაგან, რომელიც იქ უყენიათ ყასბებსა და სხვებს. კარგ დარების დროს ეს საქონელი საშინელ მტვერს აყენებს, რადგან ქუჩები მოკირწყლული არ არის, ხოლო ავდრიან დღეებში იქ, სადაც საქონელი გაივლის, ისეთი ტალახი დგება, რომ ხალხი ეზოს ვერ სცილდება. ნავთლუღის მცხოვრებთ საერთოდ გუბერნატორისათვის თხოვნა მიუციათ. სთხოვენ, რაიმე განკარგულება მოახდინოს და დაიხსნას მცხოვრებნი ამ გაჭირვებისაგან. გუშინ გუბერნატორმა ამ საქმის გამო ცნობები მოსთხოვა ქალაქის გამგეობას და აგრეთვე მისწერა, შეატყობინოს, რა მდგომარეობაშია ამ ჟამად საბჭოს გადაწყვეტილება ავლაბარში სათივე ბაკების გამართვის შესახებ.

◆ გუშინ, 13 მარტს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია თიანეთში წავიდა სხვა და სხვა საქმის განსახილველად. სესია იქ 17 მარტამდე დარჩება.

◆ ორშაბათს, 17 მარტს, ახალ-ქალაქში საქმეების განხილვას შეუდგება ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია. სესია 19 მარტამდე დარჩება ამ ქალაქში.

◆ ახალ სენაკიდან გვწერენ: „ჩვენს სადგურზე 13 მარტს აღმოაჩინეს, რომ ერთ ვაგონიდან ვიღაც ქურდებს მოუპარავთ მთელი ერთი ბოჩკა, ღვინით სავსე. ამ ვაგონში სულ 12 ბოჩკა იყო, ერგნიდან გამოგზავნილი. როდესაც მატარებელი გაჩერდა, ვაგონის პლომბები ახსნილი აღმოჩნდა. ჰფიქრობენ, ეს ბოჩკა მოიპარეს აბაშასა და სენაკს შუა.“

◆ საჯევახო: 7 მარტს ჩვენს სადგურზე, როდესაც ერთის საქონლის მატარებლის ვაგონი გაადეს, ჰნახეს, რომ ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ დიდძალი სამანუფაქტურო საქონელი მოუპარავთ. საქონელი ტფილისიდან იყო გამოგზავნილი. მოუპარავთ სულ 11,784 მანეთისა.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობას დღეს, 14 მარტს, სხდომა ექმნება ამა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად.

◆ გუშინ ტფილისის პოლიცმეისტერმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, განკარგულება მოახდინონ ჭავჭავაძის ქუჩის შესაკეთებლად, რადგან იგი მეტად მინგრეულ-მონგრეულია თურმე.

◆ 20 მარტს სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია, სხვათა შორის, საქმე სოლომონ საზოკასი, რომელსაც კანონიერ ქაღალდების მოპარვა ჰბრალდება. ამავე დღეს პალატა გაარჩევს საქმეს შორაპნის მაზრის სოფ. სავანის მცხოვრებ ფასია აბაშიძისას, რომელსაც პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევა ჰბრალდება.

◆ 19 მარტისათვის დანიშნულია საჯარო ვაჭრობა პოლიციის მე-10 ნაწილში მდებარე ქალაქის ადგილების შეშის საწყობებისათვის გასაცემად. ვაჭრობა მოხდება გამგეობის სადგომში, 12 საათზე.

◆ ტფილისში დიდი ხანი არ არის დაარსდა „გადამწერთა ურთ-ერთ დამხმარებელი საზოგადოება“. როგორც 1902 წლის ანგარიშიდანა სჩანს, საზოგადოებას შემოწირულება მიუღია 530 მანეთისა, საწევრო გადასახადისა შემოსულა 1468 მან. 5 კაპ., წლის განმავლობაში დახარჯვიათ 96 მან. 89 კაპ. ასე რომ ამა 1903 წლის 1 იანვრისათვის საზოგადოებას ჰქონია 1371 მანეთი.

◆ აკსტაფიდან გვატყობინებენ: 12 მარტს, ნაშუადღევის $2^{1}/_{2}$ საათზე, მიმავალ მატარებელზე შეხტა ნავთის მილზე მომუშავე გოგოსაშვილი, მაგრამ ფეხი დაუსხლტა და ჩამოვარდა. გოგოსაშვილს ვაგონის თვალმა ფეხი გაუჭყლიტა.

რუსეთის ქრონიკა

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტროში შეუმუშავებიათ პროექტი იმ საშუალებათა, რომელთა მეოხებითაც შესაძლებელი იქმნება ყველისა და ერბოს კეთების საქმის გავრცელება და გაძლიერება. სხვათა შორის, აზრადა აქვთ დააარსონ განსაკუთრებული ინსტიტუტი და სკოლები.

◆ რუსეთის ბევრ სამრეწველო ქალაქს ეწვია კრიზისი. ამ კრიზისის გამო ყველგან ქარხნების მუშები უადგილოდ და ულუკმაპუროდ რჩებიან. კურსკიდან იუწყებიან, მაგალითად, რომ აქაურს სადგურზე დიდ ძალმა მუშა ხალხმა ჩაიარა; ყველანი ქარხნებიდან დაითხოვესო.

◆ 8 მარტს პეტერბურგში სასამართლომ განიხილა საქმე კონსტანსკისა, რომელმაც ისაკის ტაძრიდან ბრილიანტები მოიპარა. კონსტანსკი ცოლ-შვილიანი კაცი ყოფილა, მაგრამ იმათთან არა სცხოვრობდა. ცოლი თავის თავსა და მცირეწლოვან ქალს საკუთარის შრომით არჩენდა. სასამართლოში კონსტანსკის კარგ ნაცნობებს უთქვამთ, რომ ბრალდებული დიდად ნაკითხი და განვითარებულია, მაგრამ ამასთან მეტად ურწმუნო კაცია; არა სწამს არც ღმერთი და არც წმინდანებიო. კონსტანსკიმ სულ 80 ბრილიანტი მოიპარა. ზოგიერთი ბრილიანტი 40—50 ათას მანეთად ჰღირს. მოპარული ნივთები აღმოაჩინეს. ამ საქმის განხილვის დროს სასამართლოში დიდ ძალი ხალხი შეკრებილა. კონსტანსკის რამდენისამე წლით კატორღაში გაგზავნა გადაუწყვეტეს.

პრესსა

გაზეთ „კასპ“-ის გუშინდელ №-ში (№ 58) დაბეჭდილია მეტად უცნაური (მეტი რომ არა ვთქვათ) წერილი ვიღაც ბ. დენის კოზლოვსკისა ჩვენის წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებისა და ბაქოს ქართველობის წინააღმდეგ. ბ. კოზლოვსკი არწმუნებს მკითხველთ, რომ „ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოების“ მოღვაწეობა დამახინჯებულია და საზოგადოება თავის დანიშნულებას ვერ ასრულებსო. ამის დასამტკიცებლად ავტორი ამბობს:

> „საზოგადოების“ სამოქმედო ასპარეზი მეტად ვიწროა: თუ არა ვცდები, ის მოქმედობს მხოლოდ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში; სხვაგან მას განყოფილებები არ დაუარსებია. ამის მიზეზით ხდება ის, რაც უნდა მომხდარიყო: ღარიბი მოსწავლე-ქართველი, რომელსაც ბედნიერება არა აქვს ტფ. ან ქუთ. გუბერნიაში ცხოვრებისა და სწავლისა, მოკლებულია წ.-კ. საზოგადოების დახმარებას. ამავე დროს „საზოგადოებას“ დიდძალი შეწირულება მისდის სხვა გუბერნიების ქართველთაგან. გამოდის სრული უაზრობა: ბაქოს ქართველები, მაგალითად, ყოველ წელს ბევრ ფულს აგროვებენ „საზოგადოებისათვის“, მაშინ, როდესაც აქ, ბაქოში, სასწავლებლებიდან ითხოვენ ქართველთ სწავლის ფულის გადაუხდელობისათვის... „საზოგადოება“-ს კი იმდენად შეუვიწროვებია თავისი მოღვაწეობა, რომ საჭიროდ არა სთვლის ბაქოელებისავე შეწირულებით ბაქოელ ქართველ მოსწავლეთ გაუმართოს ხელი...

უსაფუძვლო ბრალდება ამაზე მეტი არ იქნება. ბ. კოზლოვსკის არ ესმის, თუ რა საგანი აქვს ჩვენსა და, საზოგადოთ, ყველა წერა-კითხვის საზოგადოებათ. მათი მოვალეობაა ხალხში წერა-კითხვა გაავრცელონ და არა შემწეობა ან სტიპენდია აძლიონ ღარიბ მოსწავლეთ. რასაკვირველია, არ იქ-

---

ბანკის გაკოტრებამ განთქმულ ლორდ დიუფერინის სახელი და შეძლება იმსხვერპლა; ლორდ დიუფერინი გლადსტონის თანამშრომელი და ინგლისის უკეთილშობილესი პოლიტიკური მოღვაწე იყო. ამ კამპანიაში უფრო უმაღლეს პირებსაც ედოთ წილი; ამბობენ, მეფის მახლობელი პირებიც ერივნენ ამ საქმეშიო. ამიტომაც იყო, რომ სამინისტრო დიდ უარზე იდგა და არა ჰნდომობდა კომპანიისა და იმის დირექტორების სამართალში მიცემას. მაგრამ სჯობია, რიგზე გიამბოთ.

სიტის შუა გულში, იმ ერთად-ერთ მოედანზე, სადაც ინგლისის ბანკისა, ლონდონის ლორდ-მერისა და ბირჟის სასახლეები სდგანან, მოედნის მეოთხე კუთხე ეჭირა უზარმაზარ შენობას; შენობის თავზე გამართულია გლობუსი და საათი. შენობა ეკუთვნოდა საფინანსო სააქციონერო საზოგადოებას „გლობ“-ს. ეს საზოგადოება მრავალ მილიონ ფულს ამუშავებდა, ამისი დირექტორები ისეთი ფუფუნებით სცხოვრებდნენ, რომ ბევრს მეფეს მოუცვდებოდა იმათთან; აქციონერები და ნამეტნავად ფულის შემტანები ხომ ათასობითა ჰყავდა. საზოგადოების უმთავრესი დირექტორი ვიტაკერ-რაიტი უმდიდრეს, გავლენიან და ამაყ, მიუკარებელ ფინანსისტად ითვლებოდა მთელს ლონდონში. მინისტრები და სიტის „მამები“ შინაურულად იცნობდნენ და ექცეოდნენ რაიტსა; უმაღლესი არისტოკრატია, მეფის კარის კაცები, ეკლესიის უმაღლესი პირნი, ერთის სიტყვით ყველანი, ვინც ამ უკანასკნელ დროს პოლიტიკის სათავეში დგანან, რაიტის მეგობრები იყვნენ, იმის პურმარილსა სჭამდნენ, იმის სასახლეებში და საოცრად მდიდრულ პარკებში დროს ატარებდნენ, იმის ორთქლით მავალ იხტით სარგებლობდნენ; ამბობენ, ამ იხტაზე ყოველთვის წვეულება იყო გამართული, იხტის კაპიტანი და რაზმი ყოველთვის მზად იყვნენ სტუმრების დასახვედრადაო. რაიტის გიჟური ფუფუნება აქაურ ხალხსაც-კი აკვირვებდა, როდესაც ლონდონში უბრალო მდიდრად ითვლებიან, ვისაც წელიწადში 50 ათასი მანეთი შემოსდით. რაიტის ერთ-ერთ პარკში 600 მუშა მთელი წელიწადი სულ იმას უნდებოდა, რომ ძველი ტბა დაეცალათ და ახალი გაემართათ; ახალ ტბის ძირზე წყალს ქვეშ გამართული იყო მარმარილოს სასახლე ბროლის სახურავით. მიწის ქვეშ სასახლეში ხვრელი იყო გაყვანილი: ხვრელი საოცარის ოსტატობით იყო აშენებული სულ კარარის მარმარილოსაგან; წყალი უზარმაზარ დელფინის პირიდან გამოდიოდა ტბაში; ეს დელფინიც წმინდა თეთრის მარმარილოსაგან იყო გამოჭრილი და წონით 60 ფუთი იქნებოდა (ერთი ტონა).

ვიტაკერ-რაიტი ამხედრებულ კონსერვატიზმის ბურჯი იყო, ისიც ოქროთ დაფერილი ბურჯი. ამის საოცარ, წყალ-ქვეშ და წყალ-ზევით აშენებულ, სასახლეებში ეხლანდელ რეაქციონურ სამინისტროს არა ერთი კანონ პროექტი იყო მაფიქრებელი ამ უკანასკნელ 6—8 წლის განმავლობაში... და აი საშინელი ხმა გავარდა, რომ „გლობ“-ში საქმე წმინდად არ მიჰყავთ, ეს საზოგადოება ტყუილ ბალანსებსა და ანგარიშებს ადგენსო. დიდი ალიაქოთი ასტყდა. ხალხი ძლიერ შეწუხდა, უმაღლესი სამღვდელო პირები და მინისტრები და თვით კარის-კაცებიც კი შეფუცხუნდნენ. ძლიერ ეცადნენ ქომაგობა გაეწიათ ვიტაკერ-რაიტისა და იმის ამხანაგებისათვის, მაგრამ ვერას გახდნენ და საფინანსო კამპანია, რომელსაც 20 მილიონზე მეტი თანხა ჰქონდა, კოტრად იცნეს. კრედიტორებმა მოითხოვეს, კამპანიის დირექტორები და ნამეტნავად ვიტაკერ-რაიტი სამართალში მიეცათ ყალბის დავთრებისა და ბალანსების შედგენისათვის. მაგრამ იუსტიციის მინისტრმა, ლორდ ჰელსბიურიმ უარი თქვა ამაზე და პარლამენტს არწმუნებდა, ვითომ ეხლანდელ კანონების ძალით კომპანიის სამართალში მიცემა არ შეიძლებაო. ყველას ეგონა, მტაცებლებს, ეგ არის, უშველეს და ნამდვილად სასჯელს გადაარჩინესო.

მაგრამ აქ თავი იჩინა ინგლისის ძველმა კეთილ-შობილმა კერძო თაოსნობამ (ინიციატივამ). „მთავრობა თავის მეგობრებს ხელს აფარებსო, სთქვეს პატიოსანმა კაცებმა. სასამართლოს ხარჯს მთლად ჩვენ თითონ ვიკისრებთ და ჩვენ თითონვე მივმართავთ სასამართლოს. ჩვენ მოსამართლეებში პატიოსანი და დამოუკიდებელ კაცები საკმაოდ იპოვებიან და ისინი სინიდისიერად გაარჩევენ საქმესაო“. გამართეს ხელის მოწერა; რადიკალური და ლიბერალური პრესაც ინიციატორებს მიემხრო: ხელად შეკრიბეს 25 ათასი მანეთი და წარსულ კვირას მოსამართლე ბიუკლეის მიჰმართეს; ბიუკლეი დიდ ავტორიტეტად ითვლება: სააქციონერო და საფინანსო კომპანიების თაობაზე გამოცემული კანონები ყველაზე კარგად აქვს შესწავლილი. მოსამართლემ მოისმინა საჩივარი და საბუთები და სთქვა, განაჩენს სამის დღის

ნებოდა ცუდი „საზოგადოებას“ ისე გაეფართოებია მოქმედება, როგორც დენის კოზლოვსკის ჰსურს, მაგრამ, უბედურებაც ის არის, ბატონო კოზლოვსკი, რომ ამას ბევრი „მაგრამი“ ელობება წინ; უპირველესად ყოვლისა თუნდ ის დავასახელოთ, რომ „საზოგადოებას“ ტფილისისა და ქუთ. გუბერნიებში სამოქმედოთაც არა აქვს შეძლება, სახსარი. საზოგადოთ, ბ. კოზლოვსკი სრულიად არ იცნობს ჩვენის წ.-კ. საზოგადოების მოქმედებას (რასაც თითონ აღიარებს) და რამ აიძულა მის წინააღმდეგ ამხედრებულიყო?! სრულიად უადგილოა აგრეთვე მისი საყვედური ბაქოელ ქართველობის მიმართ: იქ შორეულ ქართველებს ეხმარებითო, აქ კი, ბაქოში, უყურადღებოთ სტოვებთ ახლობელ მოძმეთაო. ბაქოელ ქართველებმა კარგად იციან, რა მძიმე საქმე აწევს კისერზე „ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოებას“ და რამდენად ესაჭიროება მას დახმარება ყველა ქართველებიდან, სადაც კი უნდა ცხოვრობდნენ ესენი.

⁂

„სარატ. ლისტოკ“-მა ფრიად საყურადღებო საკითხი აღძრა: ქალებსაც უნდა მიენიჭოთ ნება ერობაში მონაწილეობის მიღებისაო. გაზეთი ასე ასაბუთებს თავის წინადებას:

> თუ ერობაში მონაწილეობის მიღების ნებას კანონი ანიჭებს მას, ვინც საერობო გადასახადს იხდის უძრავ მამულსა ან რომელსამე სამრეწველო საქმეზე, რაღა საფუძველი გვაქვს ეს უფლება წავართვათ ქალს, რომელსაც თავისი ოჯახი და მეურნეობა აქვს და რომელიც შემოსავალს დებს საზოგადო დაწესებულებათა შესანახად?! ქალისათვის ამ უფლების წართმევა—ნაშთია ძველის ტრადიციისა და იმ ცრუ-მორწმუნეობისა, რომლით ქალისა და მამაკაცის უფლებანი თანასწორნი არ უნდა იყვნენო; ამ ტრადიციას ყოველის ჩვენის ძალ-ღონით უნდა ვებრძოლოთ. არას ვიტყვით შეერთებულ შტატების მაგალითის შესახებ, სადაც ქალს ნება აქვს ყოველგვარი საზოგადო საქმე აასრულოს, სადაც მას ექიმობაც, ადვოკატობაც, მოსამართლობაც და მღვდლობაც შეუძლიან, რუსეთშიაც-კი ქალმა, უკანასკნელ 40 წლის განმავლობაში მოიპოვა ზოგიერთი საზოგადოებრივი უფლება. ჩვენი ექიმი-ქალები, მასწავლებელ-ქალები, სხვა-და-სხვა დაწესებულებათა მზრუნველი-ქალები საუკეთესოდ ამტკიცებენ, რომ დროა გავუთანასწოროთ ისინი უფლებებში მამა-კაცთ სხვა საზოგადო საქმესა და დაწესებულებებშიაც.
>
> სინიდისის ქვეშ უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ მოველით ერობისა და საბჭოების საქმეთა გაუმჯობესებას, თუ მათში მონაწილეობას მიიღებენ საზოგადოების ნდობით აღჭურვილნი ქალები; ისინი, ალბად, უფრო გულ-მოდგინედ ივლიან კრებებზე, უფრო მეტის მოთმინებითა და ყურადღებით ჩაუკვირდებიან ადგილობრივ მეურნეობისა და მმართველობის საქმეებს.

თეატრი

გაზეთებმა ამბავი მოიტანეს რუსთა ცნობილ დრამატურგის სუხოვო-კობილინის გარდაცვალების შესახებ. განსვენებულმა რამდენიმე პიესა დასწერა, მაგრამ სახელი გაითქვა ერთად-ერთ პიესით—„კრეჩინსკის ქორწინებით“, რომელსაც ჩვენი საზოგადოებაც კარგად იცნობს. ეს პიესა ამ ორმოცდა ათის წლის წინად არის დაწერილი, მაგრამ დღესაც სარეპერტუარო პიესად ითვლება რუსეთში და როლებს საუკეთესო მსახიობნი ასრულებენ. განსვენებული დაიბადა 1820 წ. იმისი მამა მდიდარი მემამულე იყო მოსკოვის გუბერნიაში. დრამატურგი სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში და ბევრი იმოგზაურა ევროპაში.

—

მილანში ერთი მდიდარი გამომცემელია ედუარ სანცონიო. ამ სანცონიოს გაუმართავს საერთაშორისო კონკურსი საუკეთესო საოპერო ნაწარმოებთა დასაჯილდოვებლად. კომიტეტს, რომელიც 31 იანვარს დაიხურა, მიუღია 234 ოპერა. აქედან 19 საფრანგეთიდან გამოუგზავნიათ, 8—გერმანიიდან, 6—ინგლისიდან, 2—რუსეთიდან, 1—ესპანიიდან, ხოლო 198 ოპერის ავტორი იტალიელი ყოფილა. ლიბრეტოს ტექსტის დაწერა ყველა ენაზე შეიძლებოდა. ჟიურიმ ეხლა უნდა გადაათვალიეროს და დააფასოს ეს ოპერები. საპრემიოდ გადადებულია 100,000 ფრანკი.

წერილი ართვინიდან

ხალხის სიბნელე.—დიდი თოვლი.—ავადმყოფობა

ბრმა რას ჩივოდა და ორივე თვალებსაო. რა გიხილოთ ართვინელებმა, თუ არა სიბნელე-სიცრიელე სულისა. რა ვაკეთოთ, არ ვიცით. საქმე კი ძალიან ბევრია. რომელი ერთი გნებავთ? 11000 მცხოვრებზე ართვინის ოლქში ერთი სასწავლებელი მოდის. წიგნთ-საცავი, სამკითხველო, საკვირაო სკოლა, წარმოდგენება ჩვენთვის მიუწვდომელი გამხდარა. აქაური სომხობა მარტო სარჩოს ზიდვას უნდება, ხოლო განათლებაზე ერთი ბეწოს არა ჰზრუნავს და ამიტომაცაა, რომ ხშირად სხვის სიკეთეც არ ესმის. ამას წინად აქ ვნ. მაკაშვილმა თავის სახლში და თავისავე ხარჯით გამართა ბავშვებისთვის შობის-ხე, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ძლივს-ძლიობით მოუყარეს რამდენსამე ბავშვს თავი. ვერ გააგებინეს, რომ ბავშვებსაც უნდათ გართობა. მანდილოსნებს მოუხვევიათ ოსმალური საბურავი, სხედან შინ და სავდებიან.

არც თუ მამა-კაცნი ჩამოუვარდებიან! როგორც საზოგადოდ ყველგან, ჩვენშიაც წრეულ ზამთარი ძალიან გაგრძელდა. თოვლის ზვავებმა არდაგნისაკენ გადასასვლელ ყელზე რამდენიმე კაცი იმსხვერპლა და ბევრგან გზები სრულიად შეჰკრა. ავადმყოფობა გახშირდა და ექიმისათვის ვერ მიგვიმართავს, რადგან ექიმობისა არა გვესმის-რა. ამას წინად მეფთიაქემ ჩემს კითხვაზე: როგორი მუშაობა გაქვს-მეთქი, მითხრა, ღამის კარი გამოუკეტო აქვსო; წამალი მაშინ მიაქვთ, როცა კაცი კვდებაო. აქეთ საქონელს მეტი გაფრთხილება აქვს, ვიდრე კაცსა. ოლქში ორი ბეითალია და ექიმი კი ერთი. დაკვირდნენ ექიმებს, აფთიაქებს და სხვას, მაგრამ ყველაფერი [illegible].

ვლ. გოგიაშვილი.

დაბა-სოფლები

ავნევი (ქართლი) დიდის მეცადინეობის შემდეგ მღ. ი. ლეგიაშვილმა, როგორც იქმნა, განახორციელა და დააარსა ხუთის წლის წინად განზრახული სკოლა. ახალმა სკოლამ მოქმედება დაიწყო 3 მარტს დ. ოთარაძის სახლში, რომელმაც სკოლასა და მასწავლებელს დაუთმო დროებით ოთახები. სკოლის გახსნის დადგენაზე ყველანი უარზე იდგნენ, მაგრამ მღვდლის წყალობით, როგორც იყო, დათანხმდა სამი სოფელი: ნული, ავნევი და დიდ-მუხა. დაადგინეს, თითო კომლმა გადაიხადოს შეშისა და მოსამსახურისთვის თითო მანეთი და სასოფლო მაღაზია გადაკეთდეს სკოლად; სამაგიეროდ მაღაზიას სხვა შენობას უთმობენ, რადგან უკანასკნელი უფრო პატარაა და არაა საჭირო. ჯერ-ჯერობით მოსწავლეთა რიცხვი 35-ს აღემატება.

ჩვენ სოფელში საშინლად მძვინვარებდა სათოფლე. მეზობელი მეზობელს აღარ ეკარებოდა, სათოფლე არ გადამდოსო. ვინც კვდებოდა, თავისივე ჭირისუფალნი მარხავდნენ, სხვები კი შორიდან უცქეროდნენ. როდესაც განელდა ავადმყოფობა, მაშინ გვეწვია ერთი ფერშალი, მაგრამ თავისი წამლობა ხინას ვერ გადასცდა და ამას გარდა ქართული ლაპარაკი რომ არ იცოდა, „მუნჯურის ენით“ უხსნიდა, ასე მოიქეცითო. მესამე დღეს სოფლელებმა უქირავეს ამ ხალხის განმკურნავს ცხენი, შესვეს ზედ, უკანვე გასტუმრეს და სხვა დაიბარეს. ავადმყოფობა ამ უკანასკნელ ხანებში მხოლოდ ორ ოჯახში-ღაა, იქაც რჩებიან.

გლეხები მეტად შეწუხებულნი არიან უამინდობით. თოვლით დაფენილია არე-მარე, სამუშაოდ ვეღარ გადიან და უშეშობის გამო სიცივით იყინებიან. საქონელიც უჭმელობით შესწუხდა. წელს, როგორც სჩანს, დიდი წყლობა იქმნება. ეჭვი არ არის, მდ. ფრონე კვლავინდებურად მოიგიჟიანებს თავს, გადმოვარდება სათავიდან და შიგ შუა სოფელში ჩამოისეირნებს. რაღა თქმა უნდა, ზარალი დიდი იქმნება.

ჭ. ფრონისპირელი

სასამართლო

ვექილის ხელით შეურაცხყოფა

ამ 5 წლის წინად ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე მატარებელი დასტაკებია ამ გზის ერთ მოსამსახურეს, გვარად მიხეილ ივანოვს. ივანოვი ისე დაშავებულა, რომ მუშაობა აღარ შესძლებია, ამიტომ სარჩელი აღუძრავს და რკინის გზისაგან მოუთხოვნია 15,000 მან. ვექილად აუყვანია ნაფიცი ვექილი მიხეილ გარბოვსკი-ზარანკო. საქმე მეტად გაჭიანურებულა. ბოლოს გარბოვსკის 1898 წელს ოლქის სასამართლოში საქმე წაუგია და ივანოვს ვექილის ბაღდასაროვის შემწეობით საქმე გადაუტანია პალატაში. პალატას ივანოვისათვის მიუსჯავს მხოლოდ 4000 მან., გარიგების დროს გარბოვსკისათვის ივანოვებს მიუცია თამასუქი, რომლის ძალითაც იმათ 560 მან. უნდა გადაეხადათ, თუ ვექილი ფულს ამოუგებდა. როცა გარბოვსკის შეუტყვია, რომ ივანოვებმა 4000 მან. მიიღეს, სარჩელი აღუძრავს და კიდეც გადაუხდევინებია 605 მან. 83 კაპ. ეს ფული ვექილს „იასლის“ საზოგადოებისათვის შეუწირავს. ივანოვის ცოლი—მარიამი—ბევრს ეხვეწა ვექილს, ლუკმა-პური გვიჭირს და ნუ წაგვართმევ მაგ ფულსაო, მაგრამ გარბოვსკის ყურადღება არ მიუქცევია. ასეთისავე თხოვნით მიუმართავს მარიამ ივანოვისას გარბოვსკისათვის 1901 წელს კრუზენშტერნის ქუჩაზე. რადგან გარბოვსკის ქალისათვის ყურადღება არ მიუქცევია, გაჯავრებული ქალი წამოსწევია და, რაც ძალი და ღონე ჰქონია, უკანიდან რამდენჯერმე მუშტი დაურტყავს. იქ მყოფთ ქალი მოუშორებიათ ვექილისათვის. მეორე დღეს მარიამს წერილით უთხოვნია ფულის დაბრუნება. 20 იანვარს ტფილისის სამოსამართლო დაწესებულებათა სადგომში, სხვათა შორის, ყოფილა ვექილი გარბოვსკიც და უცდიდა ერთის საქმის გარჩევას. ამ დროს მისულა მარიამ ივანოვისა და თავისი თხოვნა გაუმეორებია. გარბოვსკის თვალი აურიდებია და წასულა სასამართლოს დარბაზისაკენ. ქალი არ მოეშვებია. ვექილს ხელი უკრავს. პასუხად ქალს აუღია და რამდენჯერმე სილა შემოუკრავს. იქვე ყოფილან ხალხი, ნაფიც-ვექილები და მათი თანაშემწენი, მიშველებიან და მოჩხუბარნი გაუშველებიათ.

გარბოვსკის ამ საქმის გამო სარჩელი აღუძრავს მომრიგებელ-მოსამართლესთან. მოსამართლემ განიხილა ეს საქმე 11 მარტს.

მოსამართლემ წინადადება მისცა მომჩივანს გარბოვსკის, შერიგებოდა ივანოვის ცოლს და ამ ნაირად გაეთავებინათ საქმე. გარბოვსკი დასთანხმდა მომრიგებელ მოსამართლის წინადადებაზე და მომჩივან-მოპასუხე შერიგდნენ.

წვრილი ამბები

ამერიკელ მწერალს მარკ ტვენს ერთი კარგი აზრი მოსვლია. დიდი ხანია ტვენი სცდილობს თურმე გამოიცნოს, რა აზრისა იქმნება ხალხი იმის შესახებ ასის წლის შემდეგ, მაგრამ აბა საიდან გაიგებს იმას, რაც ასის წლის შემდეგ მოხდება. რაკი ამ მხრივ ვერაფერი მოუხერხებია, გადაუწყვეტია, მომავალ თაობას, რომელიც ასის წლის შემდეგ ამ ქვეყნის ბატონი და პატრონი იქმნება, დაწვრილებით გააცნოს თავისი და თავის მეზობელთა ავ-კარგი, სულიერი მდგომარეობა, ხასიათი, ერთის სიტყვით, გადასცეს ამ თაობას სრული სურათი ეხლანდელ საზოგადოების ცხოვრებისა და ყოფა-მდგომარეობისა. ამ აზრით მარკ ტვენი შესდგომია თავის ავტობიოგრაფიას და აუარებელ ხალხის ცხოვრების აღწერას. ავტორს უნდა სრული ჭეშმარიტება მოათავსოს ამ ნაწერებში. ეს ნაწერები წიგნად შეიკვრება, დაიბეჭდება და გაიხსნება მხოლოდ ასის წლის შემდეგ. მარკ ტვენს უთქვამს: „ჩემს ნაწერში ერთ ტყუილსა და სიცრუეს არ გავურევ. ჩემი წიგნი ეხლანდელ საზოგადოებისათვის რომ მქონდეს განზრახული, უნდა ავწერო შესანიშნავ კაცთა ცხოვრება, რადგან სხვანი არაფერს ინტერესს არ წარმოადგენენ. ასის წლის შემდეგ-კი საინტერესო იქმნება არა მარტო შესანიშნავ კაცის, უბრალო მომაკვდავის ცხოვრებაც-კი. ჩვენ წინაპართ რომ ეზრუნათ და გადმოეცათ ისეთი აწერილობანი, არქეოლოგებსა და ისტორიკოსებს თავების მტვრევა არ მოუხდებოდათ: ამ წიგნების შემწეობით უფრო კარგად და მალე გავიცნობდით იმათ ცხოვრებას“.

წერილი რედაქციის მიმართ

საფრანგეთის დედა ქალაქში სასწავლებლად წამოსულ ქართველთა რიცხვი, სანუგეშოდ, დღითიდღე მატულობს. ამ ჟამად პარიზში 21 ქართველია, ქალი და კაცი. რამდენად სანუგეშოა ეს მისწრაფება ჩვენთა თანამემამულეთა სწავლის შესაძენად აქედ წამოსვლისა, იმდენად სავალალოა მეორეს მხრით ის გარემოება, რომ უმეტესობა აქედ წამოსულთაგანისა მეტად ხელმოკლეა, მეტად მწირის საგზალის პატრონია, რაიცა ხელს უკრავს თავისი სურვილი სავსებით განახორციელონ. რათა ამ ჭირს ცოტათიც არის მალამო დაედოს, ჯერ ისევ ამ მიმდინარე წლის იანვარში აქაურმა ქართველობამ დაარსა ურთი-ერთ დამხმარებელი სალარო, რომლის მეოხებით ყოველს შავდღეში მყოფს წევრს ხელის მონაცვლება შეუძლია. ამ სალაროში მონაწილეობის მიღება

შემდეგ გამოვაცხადებო. ბევრმა იფიქრა: ალბად, ბიუკლეისაც გააჩუმებენ; ამ საქმეში ბევრი უმაღლესი პირი ურევია; ბიუკლეიც უარჰყოფს კრედიტორების საჩივარსაო.

მაგრამ ამ სამის დღის წინად ნასწავლმა მოსამართლემ ასეთი განაჩენი გამოაცხადა: ვიტიკერ-რაიტი სამართალში უნდა მიიცესო. მერე რა მკაცრის კილოთი და რა პატიოსნად ილაპარაკა მოსამართლემ. განაჩენში სწერია: 1862 წლის კანონის ძალით, სააქციონერო კომპანიებს უფლება აქვთ, კაპიტალები და თვით ღარიბ ხალხის ფული შეკრიბონ. მართლაც ამ კომპანიებმა დიდ-ძალ წვრილის ხალხის ფული შეკრიბეს და ამის წყალობით მრავალი მილიონი თანხა შეადგინეს. ამით დიდი სამსახურიც გაუწიეს ინდუსტრიასა და ვაჭრობას ამ უკანასკნელ დროს. მაგრამ სწორედ საქმის ესეთი სიდიადე და წვრილ თანხის ერთის კომპანიის ხელში შეკრება დიდს მოვალეობასა სდებს და დიდ პასუხის გებაში აგდებს კამპანიის დამფუძნებელთა, მთავრობასა და სასამართლოს. საზოგადოებასაც უფლება აქვს სასტიკი კონტროლი გაუწიოს ამ კამპანიებს. სისუსტე, გაჩუმება და კანონის აუსრულებლობა დიდ საფრთხეში ჩააგდებენ საზოგადოებას. ამ საფრთხის ასაშორებლად და სასამართლოსა და საზოგადოებრივ კონტროლის ღირსების დასაცველად, მე, მოსამართლე ბიუკლეი, ვუბძანებ, ვისიც ჯერ არს, ვიტაკერ-რაიტი დაატუსაღონ და სამართალში მისცენ“.

ამ განაჩენმა და მოსამართლის საბუთებმა ნამდვილი მეხი დასცეს სამინისტროს და იმის დამქაშებს. ესენი მზად იყვნენ ლუკმა-ლუკმა დაეგლიჯათ ნასწავლი მოსამართლე, მაგრამ დამოუკიდებელ მოსამართლის არც შეშინება შეიძლება და არც სამსახურიდან გაგდება. მეტი ჩარა არ იყო, მთავრობამ ბრძანება გასცა, მტაცებელი დაატუსაღეთო. მაგრამ ვიტაკერ-რაიტი სადღაც გაჰქრა; ამბობენ, ეგვიპტეში გაიქცაო. მინისტრები ნამდვილად თავლაფ-დასხმულები გამოვიდნენ. რომ საქმისათვის ეშველათ რამე, მინისტრები არწმუნებდნენ პარლამენტსა და საზოგადოებას, გაქცეულ მტაცებელს, სადაც უნდა იყოს და ასე იქნება თუ ისე, უსათუოდ დავიჭერთ და სამართალში მივცემთო. ეს მტკიცედა გვაქვს გადაწყვეტილიო. ასეთი სირცხვილი სჭამეს მინისტრებმა, რომლებიც რამდენსამე დღის წინად არწმუნებდნენ, კანონი ნებას არ გვაძლევს კომპანია სამართალში მივცეთო.

ბედმა სამინისტროს სხვა დიდი უსიამოვნებაც დაუმზადა. ვიტაკერ-რაიტის საქმეზე ლაპარაკი ძლივს გაათავეს, რომ ვულვიჩში (ლონდონის უბანია) არჩევანი მოხდა და ოპოზიციის კანდიდატმა კრუკსმა 3200 ხმის უმეტესობით გაიმარჯვა. მთავრობის კანდიდატს 500 ხმა მიეღო, კრუკს კი 8200. სწორედ ამაზეა ნათქვამი: ცამოწმენდილზე მეხი დაატყდა თავსაო. ვულვიჩი ყოველთვის კონსერვატორების ოლქი იყო. ორ უკანასკნელ არჩევნის დროს ოპოზიციას თავისი კანდიდატი არც კი დაუსახელებია ვულვიჩში. ეხლა კი მუშების კანდიდატმა ლიბერალების დახმარებით ეს ციხე-სიმაგრე ხელიდან გამოჰგლიჯა მთავრობას. რით უნდა ავხსნათ ესეთი ამბავი? ჰკითხულობენ თავზარ დაცემული სამინისტროს გაზეთები.

ეს ჯერ ერთი იმით აიხსნება, რომ ომმა, ახალმა გადასახადებმა, რეაქციონურმა პოლიტიკამ, მუშების კავშირების წინააღმდეგ ბრძოლამ, კლერიკალიზმმა და სკოლების წინააღმდეგ გალაშქრებამ დიდძალი მუშა ამომრჩეველი მოაშორეს მთავრობას; მეორე მიზეზი ისაა,—ამას დიდი მნიშვნელობა აქვს—რომ ვულვიჩში, ნამეტნავად მუშებში, როგორც მოგწერეთ კიდეც, ძლიერ განვითარდა კოოპერატიული და მუნიციპალური მოძრაობა; ჩემბერლენი ჰპირდებოდა მუშებს, სოციალურ რეფორმებს მოვახდენო და ნამდვილად კი არაფერი რეფორმა არ მოახდინა; რასაკვირველია მოტყუებული მუშები ჩემბერლენის მეგობრებს აღარ მიემხრობოდნენ არჩევანში. მესამე მიზეზი თითონ კრუკსია.

კრუკსი ნამდვილი ხალხის შვილია; პატარაობისას ობლად დარჩენილა, ბავშვების თავშესაფარში გაზრდილა, მერე ხელოსანთან შეგირდად და ქარგლად ყოფილა და ცხოვრების გზა საკუთარის შრომით გაუკაფია: დღისით ქარხანაში უმუშავნია, საღამოობით კი უსწავლია. კრუკსი ჰკვიანი, მხნე და ნაკითხი კაცია. თავისუფალ დროს სულ საწყალ ობლებსა და მუშების მოძრაობას ანდომებს. კრუკსი ტრედ-უნიონის წევრია; თავის უბნის მერად (ქალაქის მოურავად) და ლონდონის მუნიციპალიტეტის წევრადაც იყო არჩეული. მუნიციპალიტეტში დიდ პატივსა სცემენ. პარლამენტშიაც უსათუოდ პატივცემულ წევრად იქნება.

ლონდონელი

შეუძლიათ იმ ქართველებსაც, რომელნიც თითო-ოროლად გადმოტყორცნილნი არიან ევროპის სხვა-და-სხვა ქალაქებში, რათა ამ ნაირად კავშირი დამყარდეს უცხოეთში მყოფ ქართველთა შორის.

მაგრამ უეჭველ თვიურ საწევრო თითო ფრანკით ჩვენს საძმოს თვალსაჩინო ნაყოფის გამოღება, რა თქმა უნდა, გაუჭირდება. სანატრელია, სამშობლოდანაც მოგვაწოდონ ხელი დახმარებისა შორს, უცხოთა შორის, მყოფ და-ძმებს.

იმედი გვაქვს, ქართულ გაზეთების რედაქციები სიამოვნებით იკისრებენ შუაკაცობას და, საქმის გასაადვილებლად, მსურველთაგან მიიღებენ შემოწირულებას ჩვენის საძმოს გასაძლიერებლად, რომ მერე ფული ჩვენს მოადგილეს ბ-ნს გიორგი დეკანოზიშვილს მიაწოდონ, რისათვისაც როგორც ბ.ბ. შემომწირველთ, ისე რედაქციებს ჩვენს მხურვალე მადლობას წინდაწინვე მოვახსენებთ.

თ. ს.

პარიზი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 მარტი.

ზემლინი. გენერალმა ცინცარ მარკოვიჩმა ლაპარაკის დროს კორესპონდენტს გადასცა, რომ სერბია კმაყოფილია სახელმწიფოთა მშვიდობიან პოლიტიკით და ეხლა იმას არის მხოლოდ მონატრული, რომ ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე მშვიდობიანობა სუფევდეს.

ბერლინი. „ფოსიშე ცაიტ.“-ს ატყობინებენ ვენიდან, რომ რუმინიის მთავრობას, როგორც „ნეიე ფრაიე პრესსე“-ს გაუგონია, ავსტრიის ქარხნისათვის შეუკვეთნია 61,000 თოფი, მანლიხერის სისტემისა.

ნიუ-იორკი. ნიკარაგუაში აჯანყებაა.

პორტ-ოფ სპეინი. გუშინდელ აჯანყების დროს მოკლულ იქმნა 14 კაცი; დაიჭრა—40. მოკლულთა და დაჭრილთა შორის არც ერთი ევროპიელი არ არის.

ნიუ იორკი. როგორც სან დომინგოდან მოსული დეპეშა იუწყება, იქ წესიერება აღუდგენიათ.

პარიზი. სენატმა დაამტკიცა სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტი, მაგრამ მიიღო კომისიის აზრი, თუმცა სამხედრო მინისტრი წინააღმდეგი იყო. კომისიის აზრით, დაკლებულ უნდა იქმნას ის ფული, რომელსაც სამინისტრო არტილერიისათვის თხოულობს.

კონსტანტინეპოლი. პორტამ 11 მარტს ავსტრო-უნგრეთისა და რუსეთის ელჩებს გადასცა საზოგადო რეგლამენტი შეწყნარებულ რეფორმათა განხორციელების შესახებ. გადასცა აგრეთვე საფინანსო რეგლამენტი ბანკის დაარსების შესახებ მაკედონიის სამ ვილაეთში. არც ერთი რეგლამენტი არ იქმნება გამოქვეყნებული.

ბიუსტროვი (მეკლენბურგში). 11 მარტს სერინის სასახლეში მოვიდნენ ნიჟეგოროდის დრაგუნთა რაზმის უფროსი თავადი ბაგრატიონ-მუხრანსკი და რუსეთის სამხედრო აგენტი შებეკო. ახლად მოსულთ რაზმის სახელით გერცოგის გვირგვინით უნდა შეამკონ საფლავი პრინცის ალბერტ საქსენ-ალტენბურგისა. პრინცი მესამოცდა-ათე წლებში დრაგუნთა რაზმს უფროსობდა.

ვილნა. პირველ გიმნაზიის დაარსებიდან ასის წლის შესრულებას დღესასწაულობენ 27 აპრილს. დღესასწაულზე გაზეთების შემწეობით იწვევენ ყოფილ მოსწავლეებს და სთხოვენ გაუგზავნონ ცნობები თავიანთ სამსახურისა და მოღვაწეობის შესახებ ისტორიულ წიგნაკში მოსათავსებლად.

ხარკოვი. ზიდატა ბანკის საქმის გამო თათბირს შეუდგა. განაჩენს 17 მარტს გამოაცხადებენ.

მადრიდი. „ჰერ“-ის დეპეშა ტანჟერიდან იუწყება, რომ ქალაქ სალეს (რაბატის პირდაპირა) მეამბოხენი შემოერტყნენ. ნაპირად მცხოვრებ კაბილების უმრავლესობა აჯანყებულებს თანხმდება.

პეტერბურგი. 11 მარტს ბოლიეში გარდაიცვალა სუხოვო-კობილინი, ავტორი „კრეჩინსკის კორწინებისა“.

ბერლინი. როგორც „ფრანკფ. ცაიტ.“ იუწყება, რაინის გზის მოსამსახურეთა ოთხი დასი, რომელთაც დავალებული აქვთ გამოარკვიონ კონია-ერეგლის შტოს საბოლოო მიმართულებას, კონიიდან მუშაობას შეუდგნენ. ამ მუშაობის დროს შედგენილი გეგმები სამის თვის განმავლობაში მთავრობას უნდა წარუდგინონ.

13 მარტი.

ლონდონი. ეხლა საბოლოოდ გადაწყვეტილია, რომ მეფე ედუარდი ორშაბათს იახტით მიდის პორტსმუტიდან ლისაბონს. დედოფალი შაბათს კოპენჰაგენს მიემგზავრება.

კარაკასი. 12 მარტს კასტრომ უკან წაიღო თავისი თხოვნა სამსახურიდან გადადგომის შესახებ.

პარიზი. ცეილონის ჯარის უფროსმა გენერალ მაკდონალდმა, პარიზში გუშინ დილით თავი მოიკლა „რეგინა“-ის სასტუმროში. მაკდონალდი ლონდონიდან ცეილონს მიდიოდა, სადაც უნდა წარსდგომოდა ცეილონის გუბერნატორისაგან დანიშნულ საბჭოს, რადგან მას მძიმე ბრალს სდებდნენ.

კონსტანტინეპოლი. „ბერლ. ტაგ.“-ი გვაუწყებს, რომ გერმანიის ელჩი ესტუმრა მსოფლიო პატრიარქს და ბოლგარეთის ეგზარხს და გულ-დადებით სთხოვა, რომ მათ მოიხმარონ მთელი თავისი გავლენა თავ-თავის ეპარქიებში მშვიდობიანობის განსამტკიცებლად.

კოპენჰაგენი. შვედეთის მთავრობამ 75,000 კრონა გადასდო სვენ-ჰედინის სამოგზაურო შრომების გამოცემისათვის; ამ შრომათა ავტორმა სახელმწიფოს უძღვნა თავის მოტანილი კოლექციები.

სუვალკი. სუვალკის გარნიზონის ოფიცრებმა და ქალაქმა სასადგურამდე მიაცილეს გვამი შტაბს-კაპიტანის გერასიმოვისა, რომელიც 10 მარტს მხეცურად მოკლეს პირადი შურისძიების გამო პოლკის არხივის სადგომში. ეჭვი მიიტანეს საქმის მწარმოებელ როგოვსკიზე, რომელიც ქალაქს გარედ იმალებოდა. გუშინ ის დაიჭირეს და დაატუსაღეს. კუბო, რომელსაც ექვსი სამხედრო ორკესტრი მისდევდა, პოლკის ოფიცრებმა ორი ვერსტის მანძილზე ხელით ატარეს.

პეტერბურგი. გენერალ-ლეიტენანტი არტამონოვი დაინიშნა მთავარი შტაბის სამხედრო-სატოპოგრაფიო განყოფილების უფროსად.

„ გენერალ-ლეიტენანტი პოვოლოცკი დაინიშნა მეორე არმიის კორპუსის სარდლათ.

ბერლინი. „ნორდდოიჩე ცაიტ.“-ის სიტყვით, რეიხსტაგის არჩევნები ახლად, 3 თიბათვეს მოხდება.

პეტერბურგის ბირჟა 11 მარტს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,00	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,90	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	37,72½	
ბირჟის დისკონტი	5—6½%	
4% სახელმწიფო რენტა	98½	გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	100	მყიდვ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	1003/8	გაყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	953/8	„
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	450¼	„
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	345½	„
5/0 გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	303¼	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	90¼	„
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5/0 გირავნ. ფურც.	913/8	„
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	200	„

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 05 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7 /71 საღამოს 10 სა 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლის. № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპანამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.

ვ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3 სწრაფი № 19 (პარტო ტფილისამდე) (პარასკეობით) პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს, 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ.(4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

შორაპანისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.)

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 . 28 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., დარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირიქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელიქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონის, ტიზენგაუზენის და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ლოგინი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუდიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა იწვევს ყველა იმ პირთ, რომელთაც ჰსურთ იკისრონ ტფილისის ცეცხლის მქრობელ რაზმისათვის შენობის აგება იჯარით, სულ მასალიანათ ან ნაწილ-ნაწილი: ქვისა, სადურგლო, საკალატოზო და სხვა სამუშაო. შენობის აგება უნდა დამთავრდეს ამ წლის 1-ლ სექტემბერს. ვინც მუშაობის ერთ რომელსამე ნაწილს იკისრებს, უნდა აღნიშნოს ვადა, როდესაც დაასრულებს ნაკისრ მუშაობას. მუშაობის სწორად გაკეთებისა და მასალის ვარგისობის უზრუნველყოფისათვის მოიჯარადრეს გამოერთმევა ბე 10% მუშაობის ან მასალის ღირებულობისა. მსურველთ განცხადება უნდა წარუდგინონ გამგეობას 22 მარტის ნაშუადღევის 2 საათამდე. გეგმისა, ხარჯთ-აღრიცხვისა და პირობების ნახვა შეიძლება გამგეობის სამშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 12 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (ნ. 3—2)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ამა წლის 19 მარტს, ნაშუადღევის პირველ საათზე, მოხდება **საჯარო ვაჭრობა,** რომელზედაც იჯარით გაიცემა ქალაქის მიწის ნაჭერი მე-10 ნაწილში, ზომით 450 ოთხ-კუთხი საჟენი. საზღვრები: ჩრდილოეთით—მუშტაიდის ვიწრო ქუჩა, აღმოსავლეთით—ანდრეევის ქუჩის გაგრძელება, სამხრეთით—ქალაქის მიწა, რომელიც იჯარითა აქვს ალადაგოვს, და დასავლეთით—ქალაქის მიწა, სადაც შეშისა და ხე-ტყის საწყობია.

მსურველთ პირობების გასინჯვა შეუძლიანთ გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, დილის 9-დან ნაშუადღევის 3 საათამდე. დაბეჭდილი კონვერტები მიიღება საჯარო ვაჭრობის დღეს, 9 საათამდე. (ნ. 2—2)

ქუთაისში

ამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—2)

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

სავალდებულო დადგენილებათა მე-13 §-ის ძალით, მეეტლეების ხელობის შესახებ ქალაქ ტფილისში, ამით აუწყებს ეტლების პატრონს, რომ 14 მარტს, პარასკევს, ნაშუადღევის 3 საათზე, ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია სუბუქ მეეტლეთათვის უსტაბაშების და მათ კანდიდატების არჩევნები, ხოლო მძიმე მეეტლეთათვის (პოვოსკებ დროგების პატრონთათვის) 16 მარტს, კვირას, დილის 10 საათზე. (3—3)

ისყიდება

დარჩენილი ნივთები:

საკონცერტო როიალი

ბეკკერის ქარხნისა, ღირებული 1200 მანეთად, ისყიდება 750 მანეთად; იაპონური შირმა და ვაზები; აბრეშუმის გარდინები; საყინულე; ლამფები და ლიუსტრა; ავეჯი; ყვავილები; ეტლები და აგრეთვე ცხენებიც.

დათვალიერება შეიძლება დილის 9 საათიდან 4-მდე.

ადრესი: ვოდოვოზნაია, № 18. ბინა გენერალ-ლეიტენანტის კარპოვისა. (2—2)

ჩამოტანილია ტფილისში ამხანაგობა «შრომის» სანერგეებიდან

ხეხილები

1—3 წლისა უცხოეთის და ადგილობრივ **ჯიშისა.**

მიჰმართეთ აფრიკიანცს მელიქ-ბახტამიანცის მაღაზიაში, სადაც ამ ხეხილების აწყობია. (10—4)

ხეხილის ნერგები

საზღვარ-გარეთისა და ადგილობრივ საუკეთესო ხარისხისა იყიდება ზომიერ ფასად ფარს. იაკ. ავსარქისოვის მამულში.

ადრესი: უბრალო წერილებისთვის—**ხარა** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგური; ხოლო ფულისა და შეკვეთილ წერილებისა—**გორში,** ფარს იაკ. ავსარქისოვს. კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ. (10—5)

ყვირილის თეატრის

ამხანაგობა

ამით აცხადებს, რომ 1 მაისს მოჰხდება **საჯარო ვაჭრობა,** რომლის დროსაც გაიცემა ყვირილის თეატრის შენობის გაკეთება მარტო ხის ნაწილი, ქვითკირის გარდა, 2.000 მან. ღირებულობისა, მასალა ამხანაგობის იქმნება. ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, დაწვრილებით პირობებისა და გეგმის ნახვა შეუძლიან ქუთაისში, ივანე არდიშვილთან და ყვირილაში, მიხეილ გაჩეჩილაძის წიგნის მაღაზიაში.

ამხანაგობის თავმჯდომარე კნ. ბარბარე წერეთლისა. (10—6)

დაიბეჭდა და დაურიგდა გასასყიდად ყველა წიგნის მაღაზიებს

ახალი წიგნი

„ჩვენს დედებს“

პედაგოგიური წერილები ალექ. ნათაძისა

ფასი ხუთი შაური.

ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა ალ. იგ. ნათაძეს. (ე. 0—8)

Дозв. ценз. Тифлисъ, 13 марта, 1903 г.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)